წიგნების გამომცემლისა ალ. არაბიძისა და ამხ.

ი. ჯიშკარიანი

„ძველი აღმოსავლეთის“ წარსული

და

„ვ ეფხვის ტყაოსანი“

ტფილისი

სტამბა ვ. რუხაძისა და ამხ. გაბაშვილის შეს., № 1

1920

მოხსნილ წინასიტყვაობის მაგიერ [1])

ჩემი სიყრმის მეხსიერების თვალწინ მკვეთრად სდგას შორეულ წარსულის – 1890 წლის გაზაფხულის – ცხოველი სურათი: ხუთიოდე შაგირდთაგან შემდგარ ჯგუფსა შუა რიონის პირად ზეზე მდგომი ამხანაგი ხმა მაღლა გვიკითხავს გაზეთის შფოთით აღვსილ შესიტყვებითი წერილს ჯერ კიდევ სტუდენტად მყოფ მეცნიერ ნ. მარრის საწინააღმდეგოდ მიმართულს.
წერილი უფრო აღბორგნებულ ეროვნულ გრძნობათა მჩქეფარე ნაკადია, ვიდრე გარკვეულ და ცხად მასალიდამ გამომდინარე ურყევ დებულებათა დალაგება, მაგრამ მისმა შინაარსმა – კილომ და სიტყვათა საქცევმა ჩვენ სრულიად დაგვატკბო და დაგვამშვიდა... ჯაბუკ მეცნიერის იმ აზრმა, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ სიტყვები:
„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“ – სრული ჭეშმარიტებაა და რომ მისი, „ვეფხვის ტყაოსნის“,

---

ჩემი გამოკვლევის წინასიტყვაობა დაბეჭდვისას რედაქციამ 1916 წ-ში სრულიად მოხსნა და რადგანაც მე მისი პირი არა მაქვს, ამის გამო მის სამაგიეროდ ახალ წინასიტყვაობას ვუკეთებ.

IV

სპარსული დედანი ბრიტანეთის მუზეუმმი უნდა ინახებოდესო, იმ ზომამდე შეაშფოთა და შეურაცხყო ეროვნული გრძნობა ქართულ საზოგადოებისა, რომ ცხრა წლის შემდგომაც ამ აზრის შეფასებისას თვით დიდ ილიასაც წარმოათქმევინა უკვე ევროპიულ ფარგალში დამწიფებულ მეცნიერისადმი მწვავე ბოღმით აღსავსე სიტყვები: „რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს… აიღოს და... შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი···“

1910 წელს ზამთარში ბაქოთი თურქესტანში გარდავედი ციმბირში მუშაობისას მქონდა შემთხვევა აღმოსავლეთით გადმოვსულიყავი, მაგრამ მთელ ზაფხულს ამისთვის ვერ ველევოდი. გამგზავრებამდე ამ მხარესი წარსულსაც გავეცანი – ნანახმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დაბრუნებისას მე შევუდექი ჩვენი წარსულის გაცნობასაც და 1914 წლის მიწურულში „ვეფხვის ტყაოსნის“ წარმოშობის სურათი ჩემთვის სრულიად ცხადი იყო, მაგრამ დაწერას და გამოქვეყნებას ვერ ვბედავდი, რადგანაც ოთხმოცდაათ წლიდამ სამშობლოს მოშორებული ამ კითხვის შესახებ მასალას სრულად არ ვიცნობდი... 1916 წ. კი ზაფხულში სამ-

V

დღევრო მწერლობაში ატეხილმა შესიტყვებამ ჩემ-
თვის ცხადყო ამ საგანზე ჩემი აზრის გამოქვეყნე-
ბის საჭიროებაც და შესაძლებლობაც [1])·
ჩვენ არ ვსთვლით „ვეფხვის ტყაოსნის“ წარმო-
შობის კითხვას ამ გამოკვლევით სრულიად გადა-
ჭრილად, მაგრამ კითხვა რომ სათანადო ბილიკზეა
მოქცეული, ეს კი ჩვენთვის ეჭვს გარეშეა და ჩვენი
სიამაყე, მეცნიერების ბუმბერაზი, თავისუფალი რომ
ბრძანებულიყო ამ კითხვის შესახებ თავის წინა ნა-
აზრევიდან ჩვენ მიერ გამოთქმულ შეხედულებას
უფრო გარკვეულად შეაფასებდა, ვიდრე ეს მან
ინება: „мысль, что поэма не вполнѣв современ-
на Тамарѣ, что она написана послѣ ея смер-
ти, теперь высказывается и по другимъ осо-
бенностямъ, какъ будто болѣе существен-
нымъ для поэмы, чѣмъ наблюденныя Сарги-
сомъ Какабадзе, но для насъ важно при
опредѣленіи времени не отдѣльные признаки
и частности, хотя бы и существенныя, кото-
рыя могутъ получить при различной точкѣ
зрѣнія различныя толкованія, а обшій духъ
оэмы“ [2])

„სახალხო ფურცელი“ №№ 720 და 721. 1916 წ.
) Н. Я. Марръ Грузинская поэма „Витязь вѣ
барсовой щкурѣ“ Шоты пзъ Рустава и новая куть-
турно-историческая проблемма 1917 г. ст. 502.

VI

ამ ცალმხრივ შეფასებაშიც, ვუბნობთ ცალ-
მხრივ, რადგანაც ჩვენ გამოკვლევაში ვეხებით სხვა
მხარეებსაც „ვეფხვის ტყაოსნის“ წარმოშობის შე-
სახებ აუცილებელია ერთნაირი შესწორების შეტა-
ნა: ჩვენ მიერ წამოყენებულ მასალის მიხედვით
„ვეფხვის ტყაოსნის“ წარმოშობის ფარგალი დროის
მხრივ განისაზღვრება ქვევიდან 1210 წლით, ზევი-
დამ კი თამარის გარდაცვალებით – 1213 წლით:
ხალხში დარჩომილ გადრაცვალებით „ვეფხვის ტყაოს-
ნის” წარმოშობის დროის შესახებ თამარის სი-
ცოცხლეშივე ჩვენ დიდის ნდობით ვეპყრობით,
მით უფრო რომ ხალხის მრავალ-მხრივი გადმოცემა
ამ რთულ მოვლენისა ჩვენ მიერ წამოყენებულ მა-
სალით მხოლოდ ამ მხრივ რჩება ოდნავ გამოურ-
კვეველი და დაუდასტურებელი.

ავლაბარი, 1920 წ.

„ძველი აღმოსავლეთის“ წარსული და „ვეფხვის ტყაოსანი“

„ძველი აღმოსავლეთი“, როგორც ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების მთლიანი ერთეული.

რა მნიშვნელობითაც დღეს ჩვენ ვხმარობთ ცნებას „ევროპას“, როგორც წეს–რიგის და ზნე-ჩვეულების ერთეულს, იმ მნიშვნელობითვე უნდა ვიხმაროთ – „ძველი აღმრსავლეთიც“. ამ ცნების შემადგენლობის ფარგალში, ჩემის აზრით, უნდა მოთავსდეს აშანი [1]), ყივთეთი [2]), შამი, ურიასტანი, მცირე აზია [3]), არაბეთი, შუა მდინარე, სომხეთი, საქართველო, ინდოეთი, სპარსეთი, ავღანისტანი და რუსთა თურქესტანი. ამ ფარგალში ხან ერთი

აბესინია, აბაშა.

ეგვიპტე.

ანატოლია.

ხალხი ხელისუფლობდა და ხან მეორე, ამ გაბატონებას ხელს უწყობდა მდებარეობა და წეს-წყობილებისა და ზნე-ჩვეულების უუძველესი საერთო წყარო.

სუმერეთი, როგორც „ძველი აღმოსავლეთი“ ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების საერთო წყარო.

ამ საერთო წყაროდ უნდა ჩაითვალოს შუამდინარის სამხრეთი ნაწილი: ბაბილონიდან სუზამდე [1]). პირველად მჭიდროდ აქ შეჯგუფდა ცხოვრება და ამ შეჯგუფებამ ხალხი აიძულა შეემუშავებია იმისთანა შეხედულება და წეს-წყობილება, რომელიც შისცემდა მას ცხოვრების და განვითარების საშუალებას. დღეს მეცნიერება ამ ხალხს იცნობს სუმერებად[2]). ამ ხალხის ნააზრევი და ნაგრძნობი გარდაიქცა ზემო აღნიშნულ ხალხთა მამოძრავებელ და გამაერთიანებელ ძალად. პირველად აქ ამაღლდა აზრი ღვთაებამდე: ხანგრძლივმა დაკვირვებამ ადამიანს საზოგადოებრივ წეს–წყობილებაშიც ოჯახური წესრიგი გადაატანია და გააბატონებია: იქაც განა-

---

სუზა, ზოგიერთ მეცნიერთა კითხვით, შუში – რუკაზე ქალდუს აღმოსავლეთით.
სუმერები ანუ შუმერები.

მტკიცა მეფე-მამა, შეფე-დედა და მეფის-წული. ხანგრძლივმა გამოცდილებამ ხალხი დაარწმუნა ამ გაბატონების აუცილებლობაში და ამ ოჯახურ წეს-წყობილებას მისი გონება უფრო მაღლა – თვით ზესკნელში – შეათვისა: იქაც მამა, დედა და ძე. ასე შეიკრა სუმერთა ყოველ ქალაქში საზოგადოებრივ წეს-წყობილების სამ სართულიანი ციხე-გოდოლი, ოჯახურ მცნებაზე აგებული...

ჩვენდა საბედნიეროდ შუმერეთის ლურსმული წარწერები ფიქალ ქვებზე დღეს ინახება ევროპიელთა დიდ ქალაქებში და იმათ მიხედვით შეგვიძლიან ცხად ვყოთ თანამედროვე კაცობრიობისათვის – სამოც და ათი საუკუნის წინად მომხდარი ამბები [1]). შუმერებთან დაკავშირებულია მთელი კაცობრიობის სულიერი და ნოვთიერი ცხოვრების გაუმჯობესება:

დღეს უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ ბერძნები და რომაელები მხოლოდ ოცდაშვიდი – ოცდარვა საუკუნეა, რაც ისტორიულ სარბიელზე გამოვიდნენ – დიდად სარგებლობდნენ შუამდინარეში შემუშავბულ ზნე ჩვეულებას და წეს-წყობილებას; საბერძნეთის კულტურა კი მთელმა ევროპამ შეითვისა.

---

[1]) დაახლოებით ვიცით, რომ ათასი საუკუნეა მას შემდეგ, რაც ადამიანი დედამიწაზე გაჩნდა, და ამ ათასს საუკუნეში მხოლოდ უკანასკნელ სამოცდაათ საუკუნეს აქვს გარკვეული ისტორია.

შუამდინარეში ხალხთა მუდმივ შეხლა–შემოხლა იმდენად მკაცრი იყო და საზოგადოებრივი ცხოვრება რთული, რომ გამახვილებულმა ადამიანთა სულიერმა ძალამ დიდი ხნით ქრისტიანობამდე შეიმუშავა დიდებული ზნეობრივი დებულება: „სიკეთით სძლიე თვით მტერსა, ერიდე შურით ძლევასა“. დღესაც მთელი კაცობრიობა აქ [1]) შეეხალა მტრულად ერთმანეთს და რაღაც საოცარმა ღვთაებრივმა განგებამ ჩვენ ქართველებსაც სრულიად მოულოდნელად ამ შეხლაში გვარგუნა თვალსაჩინო მონაწილეობა. გრძნობენ თუ არა ჩვენი გმირები, რომ იმ არე-მარესთან ჩვენ ქართველები მჭიდროდ ვართ ჩვენი წარსულით დაკავშირებული! [2]).

შუამდინარეთის ზნე-ჩვეულება და ჩვენი მასთან კავშირი.

ქართული სიტყვა „პატიოსანი“ უეჭველია ენათესავება შუმერეთის „პატესის“ – აგრე უწოდებდნენ ქალაქის თავს. – „პატესი“ აღჭურვილი იყო სასულიერო უფლებითაც. საყოველთაო ქართული

კუტ ელ ამარა შუა გულია ძველი შუმერეთისა. აქ დამარცხდა ამ ცოტა ხანში ბრიტანიის რაზმი.
არის მიმართულება მეცნიერებაში, რომელიც სუმერთა და ქართველთა შორის ნათესაურ კავშირსაც გულისხმობს.

სიტყვა. „ლამაზი“ ნაწარმოები უნდა იყოს სვანური წინსართავით „ლა“, რომელიც უდრის ქართულ „სა“-ს და მაზი – აქ ცხადია ორხმოვანი ძირი „მზ“. ასე რომ „ლა მაზი“, იგივე „მზი-სა“, დღეს თამამად მეგვიძლია დაუკავშიროთ შუამდინარის „ლამას“, „ლამასუ“ ანუ „ლამასსდა“, რომელსაც მეცნიერნი სთარგმნიან „ღვთის მოციქულად“, „კეთილ-სულად“, „მფარველად“, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „ქართველ ხალხის რწმენას ეხლაც შენახული აქვს მზის თაყვანის ცემა და ფშავ-ხევსურთა დეკანოზები თავიანთ ლოცვაში ყოველთვის ამბობენ ხოლმე: „დიდება მზესა, იმის მყოლ ანგელოზსაო“ [1]), მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ შუამდინარის ლამასსუ, ჩვენი ლამაზი, იგივე „მზისა“ არის მზის მოციქული და ამ მნიშვნელობით ამ სიტყვას ხალხი ხმარობდა ქრისტიანობამდე, შემდეგ კი მის მაგიერ შეითვისა უცხო ბერძნული სიტყვა ანგელოზი, ლამაზი კი დაიტოვა სიმშვენიერეს გამოსახატავად [2]). ჩვენ წინაპართა უსასტიკესი და თავის გულუბრყვილობით ამაღელვებელი ფიცი „თავმან მეფისამან“ – ლურსმულ წარწერების მოწმობით

ქართველი ერის ისტორია. ი. ჯავახიშვილი, გვ. 124.

სიტყვა ლამაზი შეიძლება ასეც განვმარტოთ: სუმერულად „ლამ“ ნიშნავს ბრწყინვას, ნათელს. სუმერულად „ზაგ“ კარგი, თაფლი. იხ. გვირგვინი. მ. წერეთელი: სუმერული და ქართული. 1912 წ. გვ. 105.

უეჭველად ანთავისუფლებდა ბრალდებულს შუა
მდინარეშიდაც. ჩვენი სასროლი ბადე შუა გულით
ჭერზე მიკრული – ძეობაზე მწოლარე ადამიანზე
გაშლილი ავი სულის მოსაგერებლად განა იგივე
შუა-მდინარის გმირის ბადე არ არის, რომლითაც
ის შეებრძოლა ზღვის ავ სულს „თიამათს“ და
სძლია კიდეც! [1]) ჩვენში გავრცელებული ქალის სა-
ხელი „ნინო“ ნიშნავს სუმერულად ქალბატონს.
ქალ-ღმერთი ქალ-ბატონი იყო ყოველ ქალაქში,
ე. ი. ყოველ ქალაქს ჰყავდა თავისი „ნინო“; ერ-
თი ამგვარი ნინა, რომელსაც დღეს შეუსრულდა
ორმოცდაორი საუკუნე, ასირიელებმა მეშვიდე სა-
უკუნეში ქ. შ. წინ წაართვეს სუზელებს და ყო-
რუღ სერტყიდან [2]) გამოტაცებული დაუბრუნეს
ერეხელებს [3]). ამ ნინოს კერპს ამ ცოტა ხანში ბრი-
ტანიის უცხო საგანთა საცავში ამოაკვრევინეს თა-
ვი. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სუმერთა ნინოს

ეს დაკვირვება ეკუთვნის – 1877 წ. ქ. ქუთაისში ნა-
ხულს . . . . . ამ მაგალითის მიხედვით
დიდი სიფრთხილეა საჭირო ძველ ჩვეულებებთან ბრძოლაში.
ჯერ ჩვეულებანი უნდა შევკრიბოთ, გამოვაქვეყნოთ, დაკვირ-
ვებით შევისწავლოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მავნებელ
ჩვეულებას შევებრძოლოთ.
ყურადსაღებია სიტყვა ყორუღიც და სერტყიც, ე. ი.
წმინდა ტევრანი ღვთაებისადმი მიჩენილი.
ერეხი სუმერთა ქალაქია.

თაყვანება დაედვა ჩვენ ხალხში საფუძვლად ქალთა მიმართ გამეფებულ თავაზიანობას. ქართულმა ენამაც განიცადა ამ თავაზიანობის გავლენა: მდედრობით სქესს პირველი ადგილი აქვს დათმობილი შემდეგ გამოთქმებში: ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა და ცოლ-ქმარი. ხალხურ სუფრაზედაც პირველ სადღეგრძელოს წარმოსთქვამენ ქალის სადიდებლად. შეიძლება ამანვე მოუმზადა ნიადაგი ჩვენში წმიდა ნინოს და საქართველო გახადა ღვთის მშობლის ხვედრად. ამ პირობებში ამაყი და მტკიცე ქეთევანი და დიდი თამარი სრულიად ბუნებრივია.
ქართული დაღრეჯილობა უსაზღვრო კაეშანი
და ჩვეულებრივი ცხოვრების ყალიბი: „ამის მეტი
რა შემრჩებაო“ – „ცხოვრების მოჭმით“ – ადვილად
შეგვიძლიან დავუკავშიროთ სუმერლების მსოფლ-
მხედველობას: მეოცე საუკუნეში ქ. შ. წინ ლურს-
მული თქმულებით ერეხელი გმირი „გიში“ [2]) ჭმუნ-
ვარებით შეპყრობილი ჰგოდებს: „ეაბანი, ჩემი სა-
თუთ მეგობარი, წავიდა იქ, საიდანაც არა კაცი არ
დაბრუნებულა“ და ზარდაცემულმა გრძნეულ ქალს
მიმართა ამ თხოვნით: განუმარტოს მას სიკვდილის
და სიცოცხლის მნიშვნელობა და საიდუმლოება.
„ხალხის ხვედრია სიკვდილი, მუდმივ სიცოცხლე კი

ნუხას ჩვენი ძველები უწოდებდენ „გიში“ ანუ ნუხ-
„პატისი“.

ღვთისა“, უპასუხა მისანმა ქალმა და დაუმატა სა-
სოწარკვეთილ გმირის დასამშვიდებლად:

„შენ კი, გიშ, სტომაქი გაივსე
და დღე-და-ღამე იქეიფე,
ცის მარე დღე იზადიკე

ტურფა ქალი გვერდს მოიგდე [2]).

ვერ დაამშვიდა ამისთანა პასუხმა გიში და კი-
დევ უფრო გააღრმავა მისი კაეშანი...
ამგვარი მაგალითი კიდევ ბევრი მოინახება, მაგ-
რამ ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულების დასამტკი-

უკანასნელი ორი წლის განმავლობაში ზერელე
თვალიერების დროს ბევრ რასმეს გულისხმიეროს წავაწყდი
თანამედროვე ისტორიულ ნაშრომებში – ვუბნობ ზერელე,
რადგანაც ზედმიწევნით შესწავლისთვის მე, რიცხვთა მეცნიე-
რების მასწავლებელს და მასთან სკოლის ზედამხედველს, არც
დრო მქონდა და არც საშუალება საგნის ზედმიწევნით შე-
სწავლისთვის, მაგრამ ამ პირობებშიდაც ერთში დავრწმუნ-
დი: ქართველებმა ჭირისუფლური თავ ამოდებით უნდა შე-
ვისწავლოთ ძ·ველი აღმოLავლეთი, განმეორებით უნდა გადა-
ვსინჯოთ ღრმად პატივცემულ ევრპიელთა ნამუშავარი – ამი-
თვის კი საჭიროა ჯგუფთა მიზანშეწონილი შრომა, საშუა-
ლო ქართულ სკოლებში აღმოსავლეთის წარსულის საფუძვ-
ლიანად შესწავლა და სხვა... ამისთანა შესწავლა ჩვენ მო-
გვცემს საშუალებას მომავლის გეგმაც შევიმუშაოთ და „ლა-
მაზი სიკვდილის“ მაგივრად ლამაზი სიცოცხლისკენ ხალისი-

ცებლად ესეც კმარა. ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქ-
როთ, რომ სუმერლები მდაბლობში აღმოსავლეთ
მთებიდან დაეშვნენ, იმ მთებიდან, რომელნიც
იწყება ქართლში, გადადის ერევანზე და გასწვრივ
მისდევს აღმოსავლეთით ტიგროსს, ე. ი. დიჯლეს,
და თავდება ინდოეთში. მარტო ამ მაღლობიდამ
შეეძლო ხალხს შეესწავლა შუამდინარის დაბლობის
თვისებები – ყოველ წლიური წყლის ადიდების კა-
ნონები და მხოლოდ შემდეგ დაშვებულიყო დაბ-
ლობში, გაეშენებია ქალაქები ამისთვის განგებ აღ-
მართულ ბორცვებზე და წყლის მოვარდნით თავის
საკეთილდღეოდ ესარგებლნა. ადვილად წარმოსად-
გენია, რომ ამ ბორცვებზე იძულებით ყოველ წლივ

ანად გავსწიოთ, ხალხი საამაყო წარსულში ჰპოებს მომავ-
ლის იმედს. ეს არის ნათქვამი 1916 წელში – ნიკოლოზ II
დროს – „რუსობის“ ხანაში, დღეს კი თავისუფალნი ვი-
ტყვით: ჩვენი შკოლა უნდა ვაქციოთ „ძველი აღმოსავლე-
თის“ შესწავლის – შეგრძნობის წყაროთ, დროებით მაინც,
ახალ ქართულ კულტურის შექმნამდე, რომელიც იქნება შე-
დეგი ჩვენი განუწყვეტლივ დასავლეთთანაც ურთიერთობი-
სა – ქართულმა შკოლამ იგივე სამსახური უნდა გაუწიოს
„ძველ აღმოსავლეთის“ შესწავლას, რა სამსახურიც გაუწია
ევროპიულმა შკოლამ ელინთა და რომაელთა კულტურის
შესწავლას... მხოლოდ ამ გვარად შევსძლებთ ჩვენ ახალ თა-
ობის საღ ფაქიზ გრძნობათა გაღვივებას, როგორც მამოძრა-
ვებელ ძალას დიად ახლობელ მიზანთა განსახორციელებლად,
შორეულ მფრფინვად მომავლის განართხით გაშუქებულთ!

ცხოვრებამ შეაჩვია სუმერლები ჯგუფად მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგი დაედო საფუძვლად დიდ საზოგადოებრივ ერთეულებს – ქალაქებს. საფიქრებელია აგრედვე, რომ პირველ გადმოსახლებულთ დაატყდა ამ დაბლობში ის უბედურება, რომელიც ძველი აღთქმის წარღვნის საფუძვლად დაედო. აღმოსავლეთით უზრუნველყოფილნი სუმერლები – იქ ხომ მათი მონათესავე ხალხი დარჩა – ადვილად ახერხებენ მთებიდან გადმოტანილი ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების გაღრმავებას და მონათესავე ხალხშივე გავრცელებას.
დაახლოვებით ასე გვესახება ქვებზე აღბეჭდილი ძველი აღმოსავლეთის უუძველესი ხანა 4000 ანუ წ. ქ. შ. წინ. ზემოდ დასახელებული მთები, მცირე აზია და შუა-მდინარეში სუმერეთი, აი დედა-ღერძი კაცობრიობის წარსულის ბროუნვისა და პირველი საზოგადოებრივი ერთეული – ამ დროის დანარჩენი კაცობრიობა კი ტიტლიკანა ველურებად გვესახება!

სემიტები – არაბები და ურიები – გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე.

სუმერლები უკვე მომწიფდნენ, როდესაც მათ არაბეთიდან და შამიდან – სირიიდან ბოლუქ-ბოლუქად მოაწვნენ სემიტები-მწყემსები; პირველი შე-

ხლა შეიძლება მტრულიც იყო, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მოსულთა და ბინადართა [1]) შორის მყარ-დება მშვიდობიანობა და სემიტები საფუძვლია-ნად ითვისებენ სუმერთა ზნე-ჩვეულებას და წეს-წყობილებას და მათთან ერთად ჰქმნიან შუა-მდინარეში ახალ ნარევ ხალხს და ზნე-ჩვეულებას. საფიქრებელია დრო-გამოშვებით სემიტები ერთ-ხელვე გარკვეულ გზით იჭრებოდნენ ამ ნარევ ხალხში. ასე რომ მეოცე საუკუნეში ქ. შ. წინ აქ მცხოვრებ ხალხში უკვე სემიტური ელფერი და ხა-სიათი სჭარბობს.

---

[1]) **ეს ბინადრობა ანუ მმართველობა ეკუთვნის ჯგუფს ფეოდალურ ხანაში.** სუმერიელ-ანამმართველობა ეკუთვნის ჯგუფს ფეოდალურ ხანაში.

ეს ბინადრობა ანუ მმართველობა ეკუთვნის ჯგუფს ფეოდალურ ხანაში.

ეს ბინადრობა ანუ მმართველობა ეკუთვნის ჯგუფს ფეოდალურ ხანაში.

ეს ბინადრობა ანუ მმართველობა ეკუთვნის ჯგუფს ფეოდალურ ხანაში.

საერთაშორისო სარბიელზე ჩნდებიან არიელთა მოდგმის ხალხნი: მიდიელნი, სპარსელნი, ფილისტიმლიანები, ბერძნები და სომხები.

ამ არემარეში სემიტების ხელისუფლობა აღწევს მეშვიდე საუკუნის მიწურულამდის [1]) – ამ მიწურულში კი უთმობს თავის მნიშვნელობას ახლად გაძლიერებულ არიელთა მოდგმის ხალხს: მიდიელებს და სპარსელებს. მიდიელები წინ იწევდნენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მეორენი კი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ორი ხალხი იმდენად დაახლოვებული იყო, რომ ხშირად ახერხებდნენ შეერთებულად მოქმედებას – ისინი ადრე შემოიჭრენ ძველ აღმოსავლეთის ფარგალში: დღევანდელი დაკვირვებანი ამ ხანად სთვლიან მეოცე საუკუნის დასაწყისს ქ· შ. წინ. ამ ფარგალშივე შემოიჭრა დასავლეთიდან არიელთა მოდგმის ხალხი – ფილისტიმლიანები მეთორმეტე საუკუნეში ქ. შ. წინ; საფიქრებელია, რომ ამ ხანებშივე ფრაკიიდან მცირე აზიაში გადმოდიოდნენ იმავე არიელთა მოდგმის ხალხი – ბერძნები და სომხები.

---

[1]) დღეს ნიშანდობლივ ვიცით წმინდა სემიტთა ზნე ჩვეულების და წეს წყობილების სამფლობელო. ნილოსის ნაპირზე უუძველესი ეგვიპტე; ვიცით ისიც, როს ამ სამფლობელოს ძალიან მკრთალი გავლენა ჰქონდა კაცობრიობის წარსულზე. დღევანდელი ყივთები ძველი ეგვიპტელების მემკვიდრენი არიან.

„ძველ აღმოსავლეთს“ სათავეში უდგებიან საარსელები.

ასე თანდათანობით მზადდებოდა ის საზარელი უბედურება, რომელიც შუამდინარეს თავს დაატყდა მეშვიდე საუკუნის მიწურულში ქ. შ. წინ. ძველი დროის შუამდინარის ზნე-ჩვეულების და წეს–წყობილების ერთეულის დამსხვრევა არც ისე ადვილი იყო ველურ არიელთა ხალხთათვის. ესენიც პირველ შეხლაზე, როგორც სემიტები, ალბად სასტიკად დამარცხდნენ, მაგრამ ამ დამარცხებით ისარგებლეს და დაუკვირდნენ მოპირდაპირის მძლავრ მხარეებს, შეითვისეს ისინი და ჯიუტი თანდათანობით იწყეს წინ სვლა, ასე რომ 607 წ. ქ. შ. წინ, შეერთებულის ძალით აღმოსავლეთ-დასავლეთ არიელთა ხალხმა შესძლო ნინევიის სრულიად განადგურება; ცოტა ხანს შემდეგ კი სპარსთა მეფე ძლევა-მოსილი ჯარით ქედს ახრევინებს დიდს ბაბილონს – 538 წ. ქ. შ. წინ სპარსელებმა მოახერხეს მთელი ძველი აღმოსავლეთის გაერთიანება და ამნაირად მეჰქმნეს შეჯგუფება ახალ ეროვნულ ერთეულის წარმოსაშობად.

„ძველ აღმოსავლეთს“ იპყრობს ალექსანდრე მაკედონელი.

მაგრამ ამ ერთეულში მეოთხე საუკუნის მიწურულში შემოიჭრება გარეშე ძალა – მაკედონელთა ალექსანდრე დიდის თაოსნობით და გამამთლიანებელ მიმდინარეობას მისი სიკვდილის გამო ქ. ბაბილონში 323 წ. ქ. შ. წინ, ძირი ეთხრება. მაკედონელთა შემოჭრით ძველი აღმოსავლეთის ხალხოსნური შემადგენლობა სრულიად არ შეცვლილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბერძენთა რიცხვით უმნიშვნელო ახალშენებს პალესტინის ჩრდილოეთში და სხვა და სხვა ადგილებში.

„ძველი აღმოსავლეთის“ ფარგალში იჭრებიან რომაელები.

ხალხოსნური შემადგენლობა ვერც რომაელთა შემოჭრამ შესცვალა; მათ მპყრობელობის დროს „ძველი აღმოსავლეთის“ დასავლეთ ნაწილში ღვთაებრივ მასწავლებლის – ქრისტეს მოვლენამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ძველი აღმოსავლეთი“ მთლიანი ერთეულია: დიდებული სწავლა ძალადაუტანებლად სულ ცოტა ხანში ჩინეთთა თურქესტანამდის გავრცელდა და განმტკიცდა. აღმოსავლეთ

რომაელთა იმპერია ხანგრძლივ ხელის-უფლობდა ძველი აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში, დანარჩენ ნაწილს სპარსელები განაგებდნენ. აღმოსავლეთ რომაელთა იმპერიის გაბატონებას ძველი აღმოსავლეთის ნახევარში ხელს უწყობდა მათ მიერ ქრისტეანობის აღვიარება და მისი თავგამოდებითი მფარველობა, მაგრამ ამ ზნეობრივ კავშირმაც ვერ უშველა საქმეს და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში ქ. შ. შ. ბიზანტიელებსა და სპარსელებს უჩნდებათ მძლავრნი მოპირდაპირენი ძველი აღმოსავლეთის **ბინადართვ შორის – არაბები.** ახალი სწავლით აღფრთოვანებული ძველი ხალხი ერთი საუკუნის განმავლობაში ახერხებს ძველი აღმოსავლეთის უუძველეს ფარგალში აღდგენას [1]). სპარსელებმა მეტად იუცხოვეს არაბების ამაღლება, ხელსაყრელ პირობებით ისარგებლეს და მეტოქეობა შემდეგნაირად გაუწიეს: ომეიადთა და აბასიდთა ტახტის გამო შეხლის დროს სპარსელებმა აბასიდებს [2]) დაუჭირეს მხარი, და მიანიჭეს მათ გამარჯვება. მადლიერნი აბასიდე-

---

ღვთის მოციქულის **მაჰმადის** ლტოლვა მექადან მედინას მოხდა 622 წ. ქ. შ. შ. – აქიდან იწყება მუსულმანარაბთა ძლიერება. წინა ნათქვამიდან ცხადია, რომ ქრისტიანობა და მუსლიმანობა ორი მხარეა ერთი და იგივე მსოფლშეგრძნობისა – ორი ნამჭევლი ერთი ნაკადისა: ძველი აღმოსავლეთისა.

აბასი იყო მაჰმადის ბიძა.

ბი პატივისცემით და ნდობის თვალით უყურებდნენ სპარსელებს, ამით სპარსელებმა ისარგებლეს და აბასიდის ხალიფ მამუნის [1]) დროს ხორასანში წმინდა სპარსული სამთავრო დაარსეს 822 წ. ქ. შ. შ. მეათე საუკუნის მიწურულში კი მთელი აღმოსავლეთი ირანისა, ე. ი. სპარსული ხალხოსნური ერთეული, სამ პატარა სამეფოდ და მრავალ სამთავროებად დაიქსაქსა.

სელჩუკთა თურქნი ევლინებიან „ძველ აღმოსავლეთს“.

ამ დროს იმ არე-მარეში, სადაც დღეს ტაშკენტია, ქრისტიანთა პატარა თურქთა ტომი, სელჩუკის ქვეშევრდომი, მაჰმადიანდება და სელჩუკის შვილთა [2]) მეთაურობით შეიჭრება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სპარსეთში; 1035 წ. ქ. შ. შ. ძმები იპყრობენ ხორასანს, ოცი წლის შემდეგ კი ძლევამოსილი ტოგრულ-ბეგი უკვე ბაღდადშია. მას შემდეგ მისი ძმისწული ალპ–არსლანი აფართოვებს თავის სამეფოს, მელიქშა [3]) კი, შვილი ალპ-არსლანი-

---

აბასიდი მამუნი დედით სპარსელია.

ჩაკარ – ბრწყინვალე – ლაშა.
ჩვენი ისტორია კარგად იცნობს ალპ-არსლანს და მელიქ შაჰს: ალპ–არსლანმა ბაგრატ IV გახადა თურქთა მო-

ტოგრულ ბეგი და ჩაკარ-ბეგი: ტოგრაულ – მკვლელი,

სა, თავის სამფლობელოს დასავლეთ საზღვრით მი-
ადგება თვით კოსტანტინეპოლს, ე. ი. კიდევ გაერ-
თიანდა ძველი აღმოსავლეთი მეთერთმეტე საუკუ-
ნის მიწურულში.
მელიქშაჰმ სიცოცხლეშივე შფოთის და უთან-
ხმოების ასაცილებლად გაანაწილა [1]) თავის სამე-
ფო: ანატოლია, ე. ი. მცირე აზია, მისცა სულეი-
მან შაჰს, შამი – თავის ძმას ტუტუშს, აბსონგარს
შეხვდა ალეპო, ჩეკერმიშს – მოსული, ე. ი. ძველი
ნინევია, კობულმიშს – დამასკი, ხომარტეკინს –
ფარსი, სანჯარს – ხორასანი ბუხარითურთ და ნუშ-
ტეკინ – გარჩას, გუშინდელ მონას, ამ დროს კი და-
ახლოვებულ კარის-კაცს ტაშტდარას, ე· ი. ჯამ-
თასის დამჭერს, მეფის სარწმუნოებრივ მოთხოვნი-
ლებათა აღსრულების დროს, ებოძა ხვარაზმეთი,
დღევანდელი ხივის სახანო. მელიქშაჰს გარდაცვა-
ლების და მისი შვილის ბერკ-იარუკას ტახტზე ასვ-

ხარკედ, მელიქშაჰის სარდალმა კი კიორგი II საშინლად და-
ამარცხა და მთელი ბანაკი მეფის აუარებელი განძით ხელთ
იგდო 1080 წ. ქ. შ. შ. გონებად საღებია, რომ ყოველნაი-
რი თვალსაჩინო ცვლილებანი ძველ აღმოსავლეთში უსა-
თუოდ აღიბეჭდებოდნენ ქართველთა წარსულზე. ასე რომ
ჩვენი წარსულის გამოყოფა შესწავლის დროს ამ ერთეელი-
დან შეუძლებელია.
ამ განაწილებით ბრწყინვალედ ისარგებლა დიდებულ–
მა დავით აღმაშენებელმა და მოუმზადა ნიადაგი თამარ დი-
დის მეფობას.

ლისათანავე 1092 წ. ატყდა საშინელი შეუბრალე-
ბელი შინა-ბრძოლა, ასე რომ ძველი აღმოსავლეთი
ნამდვილ ᴘᴏᴘᴏხეთად გარდაიქცა განსაკუთრებით
სპარსელთათვის: ამ საშინელი არეულობით ისარ-
გებლეს ხვარაზმელებმა და ერთი საუკუნის განმავ-
ლობაში პატარა ხვარაზმეთის საზღვრები გააფარ-
თოვეს სამხრეთით – ინდოეთამდის, დასავლეთით –
ეფრატამდე, ჩრდილოეთით კი – ვოლგამდე. ჩემის
ფიქრით, ხვარაზმეთის წარსულს დიდი კავშირი
აქვს „ვეფხვის ტყაოსნის“ შინაარსთან და ამის გა-
მო უფრო დაწვრილებით შეუდგეთ ამ წარსულის
შესწავლას.

**პატარა ხვარაზმეთის საერისთავო ასოცი წლის
განმავლობაში იქცევა მძლავრ სახელმწიფოდ.**

ამხედრებული არაბები მეშვიდე საუკუნის და-
საწყისშივე სპარსელებს შეეტაკნენ, ძლეულნი სპარს-
ნი იძულებულნი იყვნენ ჩრდილოეთ-აღმოსავლე-
თისკენ დაეხიათ, არაბები ფეხდაფეხ მისდევდნენ
დამარცხებულებს, ასე რომ, თუ ვინმე იყო სპარ-
სეთში, ეროვნული სულით მტკიცედ გაჟღენთილი,
მიეშურებოდა ბუხარას და ხივას. ამ ზნეობრივ გა-
უტეხელობასაც საზღვარი ჰქონდა და როდესაც
არაბებმა ხივამდის, ე. ი. ხვარაზმეთამდის, მიაღწიეს

წ. ქ. შ. შ. იქ შეფარებულნი და ბინადარნი [1])
სპარსნი იძღლებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ
თავის წარუვალ ხვედრს. ამ პატარა მხარეში გაკა-
ჟებულმა ეროვნულმა სიტკიცემ საშუალება მისცა
ნუშტეკინ გარჩას მეთორმეტე საუკუნის დასაწყის-
შივე ბეჯითად შესდგომოდა საერისთავოს გაძლიე-
რებას. ხვარაზმეთი, უუძველესი დიდი სპარსეთის
ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების მატარებელი,
ზიზღით და აშფოთებული სიამაყით შესცქეროდა
თურქთა ბრბოების თავხედურ და უთავბოლო ბა-
ტონობას დაქსაქსულ სპარსეთში და ამის გამო კარ-
გად გრძნობდა თავის მოვალეობას დანარჩენ სპარს-
თა თემებისადმი: ამ შეგნებით წახალისებული ნუშ-
ტეკინ გარჩას შვილი მაჰმად კუტბ-ედ-დინი უკვე
„ხვარაზმშჰაა, ხელმწიფე ხვარაზმელია“. აციზი, შვი-
ლი მაჰმადისა, დიდად დაჯილდოვებული სულის
სიმტკიცით და ბრწყინვალე ნიჭით მხარს უჭერს მა-
მას; ილ-არსლან კი, შვილი აციზისა, ხორასანს

ხვარაზმეთი ქრისტეს შობის წინ მე-XIII საუკუნეში
უკვე სპარსელთა მოდგმის ხალხით იყო დასახლებული; თუნ-
და თურქთა გვარტომის ხალხი უუძველეს დროიდან იჭრე-
ბოდნენ ხოლმე ამ პატარა საერისთავოს საზღვრებში, მაგრამ
ეროვნული სიმტკიცე იმოდენა სიმძაფრისა იყო, რომ ხვა-
რაზმეთის ბინადრები მეთერთმეტე საუკუნის მიწურულშიც
ქ. შ. შ. თურქთა ბრბოებს რაცხდა ველურებად და მტრუ-
ლად ეპყრობოდა.

ანთავისუფლებს სელჯუკიდებისაგან და უერთებს ხვარაზმეთს; ტეკიშმა, ილ-არსლანის შვილმა, ირაკ-ჯემის შემოერთებით გააძლიერა თავის სამეფო; მაჰმად II-ემ კი, შვილმა ტეკიშისამ, ხვარაზმეთის ძლიერება, „მორჭმა და მოვლენა“ მიიყვანა ხალ-ხოსნურ საოცნებო წერტილამდე: გააერთიანა სპარს-თა და მათ მონათესავე ხალხით დასახლებული ქვე-ყნები [1])· ეს ის ერთად-ერთი წამია ძველი აღმოსავ-ლეთის წარსულისა, როდესაც ცნებანი სპარსი და ხვარაზმელი თანამნიშვნელობის ხაზებით შეიძლება შევაერთოთ. ვამბობ წამი, რადგანაც მხოლოდ წ. დასრულდა ხვარაზმეთ-სპარსეთის გაერ-თიანება და 1218 წ. კი ხალხთა ჯალათნი მონ-გოლნი მძვინვარე ჩინგიზ ყაენის [2]) მეთაურობით აღმოსავლეთით შემოიჭრენ ხვარაზმეთში და შეუწ-ყალებლად წალეკეს მთელი ხვარაზმეთი, ადერბეი-

---

ხვარაზმეთის ფარგალში მოექცა: ახლანდელი სპარსე-თი, ავღანისტანი, ბელუჯისტანი, რუსთა თურქესტანი და აღმოსავლეთი ადერბეიჯანი, ასე **რომ საქართველოსა და ხვარაზმეთს შუა იყო დასავლეთი ადერბეიჯანი** განჯი-თურთ სელჯუკ თურქთა მოსახლეობით.
ნიშანდობლივ ვიცით, რომ ჩინგიზ ყაენს თან ახლდა ექვსასი ათასი კაცი (600000) ველურ მონგოლთა; ვიცით აგრეთვე, რომ ხვარაზმელებმა ამოსწყვიტეს ვაჭრები, რო-მელთაც მუდმივ მიჰქონდათ მონგოლეთში საქონელი და ამან საშინლად გააბრაზა ჩინგიზ ყაენი, ეს, რუსაკვირველია, მხო-ლოდ პატივსადები საბაბი იყო მონგოლთათვის.

ჯანი და დარუბანდით შეესივნენ რუსეთს – სხვათა
შორის ჩვენი მეფე გიორგი ლაშაც საშინლად
დამარცხდა ამ გზით გამვლელ მონგოლთაგან [1])
მაჰმად II-ემ ოგურჩალის კუნძულზე [2]) ჰჰოვა თა-
ვის აღსასრული, მისმა შვილმა კი ჯელალ-ედინ-
მა, მონგოლთაგან დევნილმა, დიდმა ვაჟკაცმა,
სასიკვდილოდ დაკოდილ მხეცივით თითონ წამე-
ბულმა [3]) ჩვენც გვაწამა: დაამარცხა ქართველთა
ჯარი და სამინელი რისხვა დაატრიალა ქართლ-

მონგოლები ხელმეორედ დაუბრუნდნენ ძველ აღმოსავ-
ლეთს, გადვიდნენ ინდოეთში, დიდად შეავიწტოვეს თურქთა
მცირე აზია და გაითქვიფნენ ძველ აღმოსავლეთის ერთეულ-
ში. დღეს ამ ერთეულში იჭრებიან: რუსეთი, ბრიტანეთი,
საფრანგეთი, გერმანეთი...
კასპიის ზღვაზეა, ჩელეკენის სამხრეთით.

ქურთმა-მწყემსმა 1231 ქრ. მ.
ჯელალ-ედინი ბასიან, არზრუმის ახლოს, მოჰკლა
ხვარაზმიდები:

ნუშტეკინ გარჩა. + 1997 წ. ქ. შ.

მაჰმად I

აციზი

ილ– არსლანი

ტეკიში . . . + 1199 წ. ქ. შ.

მაჰმად I I . . . +1220 წ. ქ. შ.

ჯელალ-ედინი . . +1281 წ. ქ. შ.

შესხეთის თავზე – უბედურებას და ბედნიერებას ძველი აღმოსავლეთისას საქართველო მუდმივ მწვავედ განიცდიდა, როგორც ნაწილი ერთი მთლიანი ერთეულისა და ახლაც განიცადა...

„ვეფხვის ტყაოსნიდან“ დროის მიხედვით გარკვეული წარსულის საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ნაქუთი-ჩარჩო გამოსჭვივის.

აქ შევჩერდეთ და გადავიდეთ „ვეფხვის ტყაოსანზე“ [1]).
ინდოთ მეფის სასახლეში თათბირია, ამ თათბირს ტარიელიც დაესწრო – ნესტან-დარეჯანისთვის საქმროს რჩევაში არიან. სხვათა შორის, რუსთველის სიტყვით –

„მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე
ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა, საჩვენოდ [2]) მისებრივ
არ რომელია“.

მეფა ადასტურებს და სხვათა შორის ამბობს:

) „ვეფხვის ტყაოსანი“ დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით. 1903 წ. ჩემის ფიქრით აქ მძიმე ნიშანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

„ხვარაზმშა მეფეა, მორჭმით მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა
სჯობდეს რომელი!“

რუსთველი განაგრძობს:

„გაგზავნეს კაცნი ხვარაზმშას წინა, შვილისა
მთხოველი“

გახარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა“.

შეშფოთდა ნესტან დარეჯანი, დაიბარა ტარიე-
ლი და განრისხებულმა უსაყვედურა თავის რაინდს
არა რაინდული ყოფა-ქცევა სასახლეში მომხდარ
თათბირზე:

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად
მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა

შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი
ცნება“.

ტარიელი თავს იმართლებს, ნესტან-დარეჯანი
ოდნავად დამშვიდდება და სხვათა შორის იტყვის:

„ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი
გაგვიხასდენ“.

და ურჩევს ტარიელს მოჰკლას მისი საქმრო,
მეფეს კი – როსტევანს

„ჰკადრე თუ, – სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა
ჭამასა“

და ამით იმართლე თავიო.
ცოტა ხანს შემდეგ:

„სასიძოცა მოგვივიდა, იყვნეს ხანსა არ
დამზმელნი;
შიგნით ჩვენნი გაეგებნენ, გარეთ მოდგეს
ხვარაზმელნი“
გვიამბობს ტარიელი.

სასიძოს ჰკლავს ტარიელი, მეფე აღბორგებული
კარის-კაცების პირით სხვათა შორის ეკითხება ტა-
რიელს:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად და-
მადებინეო?“ ამაზე ტარიელი არა თავაზიანად უპა-
სუხებს:

„ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა
ნაცვალია!
სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი
ხმალია?!“

ამ ამონაწერის შესწავლა და დაკვირვება ნებას
გვაძლევს დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ხსენებუ-
ლი ხვარაზმეთი არ არის ძველი დროის უმნიშვნე-
ლო საერისთავო, არამედ უკვე ძლიერი და სახელ-
განთქმული სახელმწიფოა. ინდოეთის მეფე ფარსა-
დანი არ არის დარწმუნებული, რომ ხვარაზმშა სიხა-

რულით შეეგებება მათ წინადადებას: „თუ მოგვცემს
შვილსა, საჩვენოდ მისებრივ არ რომელია“, ამის
თქმა მართლაც რომ შეიძლებოდა ჯელალ-ედინზე
ანუ მამა მისზე – მაჰმად II-ზე. დედოფლის ნათქვამს
თათბირზე:

„ხვარაზმშა მეფეა, მორჭმით მჯდომელი“

და ნესტან-დარეჯანის სიძულვილით აღსავსე სი-
ტყვებს:

„ეგე ამბად არ ეგების რომე სპარსნი
გაგვიხასდეს“... [1])
ჰკადრე თუ – სარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა
ჭამასა“...

განსაზღვრებითი მნიშვნელობა აქვს: ცნებანი –
სპარსნი და **ხვარაზმელნი** ერთი და იგივეა და მათი
მპყრობელია „ხვარაზმშა, მორჭმით [2]) მჯდომელი“.
ამის თქმა კი „ვეფხვის ტყაოსნის“ შემთხზველს შე-
ეძლო არა უადრეს 1210 წ. მაჰმად II-ის ხელისუფლო-
ბის დროსა, ე. ი. მაშინ, როდესაც პატარა უძლუ-
რი ნუშტეკინ გარჩას საერისთავო გარდიქცა ვრცელ
და დიდებულ სამეფოდ – მოსაზღვრედ არაბეთისა,
ინდოეთისა და ხატაეთისა...
აქედან პირველი უდავო დებულება: „ვეფხვის
ტყაოსნის“ ჩაონჩხი არ არის ზღაპარი და ეკუთვნის

გადიდკაცება, გაბატონება.
სახელოვანად, ძლიერად, დიდებულად.

წლის [1]) შემდეგ ხანას, ე. ი. მეცამეტე საუკუნის
დასაწყისს [2]).

განვაგრძოთ... ტარიელი ავალაპარაკოთ:

„კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ,
ჩავაკარაბაკე [3]),
ყრმასა [4]) ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა
შევუტაკე“.

„უსისხლოდ მოვჰკალ იგი ყმა, თუმცა ჰხმდა
სისხლისა დენითა“.

ამ კითხვის გარჩევის დროს შეიძლება იმითაც ვისარ-
გებლოთ, რომ **მთელი ინდოეთის მუსულმანებად** ხსენება
შეიძლებოდა არა უადრეს 1206 წლისა. ინდოეთის ისტო-
რიიდან საგულისხმოა: 1236 წ. ატლამშის სიკვდილის შემ-
დეგ გამეფდა მისი ქალიშვილი რაცია, დიდად განვითარებუ-
ლი, მხნე და ნიჭიერი ადამიანი.
წ. ქ. შემდეგ კი, ე. ი. მონგოლების შემო-
სევის შემდგომ – ხვარაზმეთის რღვევის ხანაში, ხვარაზმიდები
ვიღას დასჭირდებოდა და თუ რომელიმე სპარსელი მწერალი
როდისმე მათ გაიხსენებდა, მხოლოდ სადიდებლად და არა
საძაგებლად. იმ დროს მონგოლების განმეორებითი შემოსე-
ვამ და გაბატონებამ ისე მოშალა ყოველმხრივ სპარსეთში
ცხოვრება, რომ ახალ რისმე შეთხზვისათვის თავი არა კაცს
სტკივოდა – ძველიც დაავიწყდათ.
კარის გამოჭრა.
სასიძოს – ხვარაზმიდს.

ნუ თუ სპარსელი შემთხზავი ასეთ საზარელ სი-
კვდილს არგუნებდა თავის სათაყვანებელ [1]) სეფე-ვაჟს,
ვამბობ სათაყვანებელს, რადგანაც ხვაჩაზმეთის გა-
ფართოვება და სპარსეთად ქცევა სიხარულს ჰგვრი-
და ყველა შეგნებულ სპარსელს – როგორც სპარსე-
თის აღდგენა: ჩვენ უკვე ვიცით, რომ სპარსულმა
შეგნებამ ადამიანის უფლება-ვალდებულებისა, სუ-
ლიერმა და ნივთიერმა წინსვლის ძალამ არაბების
და სელჩუკების ძალადობის დროსაც მხოლოდ ხვა-
რაზმეთში შეინახა თავი და როდესაც სათანადო
პირობები იშოვა, მსწრაფლ გავრცელდა ძველის
აღმოსავლეთის იმ კუთხეებში, სადაც სპარსელები
კიდეგ გადარჩნენ. ასე რომ, ამ დროის შესწავლა,
ჩვენნ გვაძლევს ნებას გადაჭრით ვსთქვათ: სჰარსუ-
ლად მეთორმეტე საუკუნის მიწურულს ანუ მეცამეტე სა-
უკუნის დასაწყისში „ვეფხვის ტყაოსნის“ ჩონჩხის შე-
თხზვა შეუძლებელი იყო. ეს, ჩემის ფიქრით, მეორე
უდავო დებულებაა. ასე რომ, წინასიტყვაობის რწმუ-
ნება – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგ-
მანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო“, უნდა
უარჰვყოთ [2]).

ხაზგასასმელია ის უტყუარი ცნობაც, რომ 1226 წელს
ტფილისის კარები „სპარსელებმა მუხანათურად გაუღეს“ ჯე-
ლალ ედინს, და რასაკვირველია, როგორც სპარსელს.
ოდნავ დასაშვებია შემდეგი შესაძლებლობა: „ვეფხვის
ტყაოსნის“ ამბავი სპარსულ ენაზე გაჩნდა დასავლეთ ადერ-

ამ ორ დებულებას თუ მივიღებთ:
პირველს, რომ „ვეფხვის ტვაოსნის“ ამბის
ჩონჩხს სპარსელი ვერ შეთხზავდა; მეორეს, რომ ამ
ამბის ჩონჩხი შეთხზულია 1210 წ. შემდეგ და ამას-
თან ერთად გავიხსენებთ, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“
თამარ მეფის სიცოცხლეშივე დაიწერა, თამარი კი
დღევანდელ მეცნიერების სიტყვით 1212 – 1213 წ.
გარდაიცვალა, მაშინ აშკარაა შემდეგი: „ვეფხვის
ტყაოსანი“ რუსთველს დაუწერია 1210 წ. შემდეგ,
თამარის გარდაცვალებამდე, და თვით მოთხრობის
ჩონჩხიც რუსთველს ეკუთნის; მით უფრო, რომ ეს
ჩონჩხი არც ისე რთულია: საკმარისი იყო რუსთვე-

ბეიჯანში – თავრიზში, ანუ არანში – განჯაში, ანუ შირვან-
ში – შემახაში და ბაქოში. მაგრამ ამ დებულებას არღვევს ის
ისტორიული გარდმოცემა, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ **თამა-
რის სიცოცხლეშივე არის დაწერილი** – 1213 წლამდე და
სამი წლის განმავლობაში 1210-დან 1213-მდე მეუძლებელი
იყო ამოდენა თხზულების სპარსულად დაწერა და ქართულად
გარდათქმა. პირიქით ესეც რომ არ იყოს – მოგვეპოვება ცნო-
ბა, რომ დიდიბული მგოსანი ხაკაიკიჲ, ე. ი. ჭემმარიტების
მაძიებელი, შირვანელი შირვანშახის ეხსეტანის კარზე მყოფი
სატახტო ქალაქ ბაქოში ხვარაზმიდელ სულტანს ტეკიშს, ჯე-
ლალ-ედინის ბაბუას, თამარის თანამედროვეს, ხოტბას ასხამ-
და-ათაყვანებდა. ამას გარდა ჩვენ ვიცით, რაც მონგოლთა
აოხრებას გადურჩა ამ ქვეყნებში, ჯელალ ედინის ხელში და
მის გავლენის ქვეშ იყო და ხორაზმიდების შეურაცხყოფა
ამის მიხედვით შეუძლებელი ხდებოდა.

ლისათვის წარმოედგინა იმ დროინდელი სახელმწი-
ფოებრივი საზღვრების მოხაზულობა და ამბის
მკრთალი ჩონჩხი თვალწინ დაუდგებოდა...

**რად დასჭირდა რუსთაველს ხვარაზმიდების დამ-
ცირება და არა ინდოელების და არაბების?**

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა, რად დასჭირდა
რუსთაველს სპარსელების, ე. ი. ხვარაზმელების,
დამცირება და არა ინდოელების, ანუ არაბების,
ანუ სხვისი... ამ კითხვის პასუხის გამო მოსაზრე-
ბანი საშუალებას მოგვცემს მეორე გზით, დროც
აღვნიშნოთ „ვეფხვის ტყაოსნის“ დაწერისა.
ხვარაზმელებთან ქართველებს შეხლა არ უხდე-
ბოდათ და მათი წინსვლა და სელჩუკიანების შევი-
წროება ქართველებისათვის ზომამდე ხელსაყრელიც
იყო. ერთად-ერთი შეხლა ქართველებისა და ხვა-
რაზმელებისა მოხდა ჩემის აზრით თამარ მეფის
დროს: დაქსაქსული და დაუძლურებული დასავლეთი
ადერბეიჯანი თურქთა სათარეშო იყო, აღმოსავ-
ლეთი ადერბეიჯანი კი, როგორც ვიცით, 1210 წ.
უკვე ხვარაზმეთის ნაწილს შეადგენდა. ჩვენ დღეს
დანამდვილებით ვგიცით, რომ არდაველის სულთან-
მა ანისი ააოხრა და ხალხი ამოჟლიტა; მის დასა-
სჯელად თამარ მეფემ ლაშქარი გაგზავნა, რომელ-
თაც „სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და
შვილნი მისნი ტყვედ ჰყუეს და წამოასხეს“... ამ
გალაშქრებამ ქართველები შეცდომაში შეიყვანა: წარ-

მოიდგინეს, რომ მთელი აღმოსავლეთი დასავლეთ ადერბეიჯანის სურათს წარმოადგენდა და ამით მო-ტყუებულნი წარჩინებულნი წარუდგნენ თამარ მე-ფეს და სთხოვეს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქვენ მან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმხნე სპათა შენთა, არამედ აღვამხედროთ ერაყს [1]) და რუმ – გურსა ზედა, რომელ არს ხორასანი და ცნან [2]) ყოველთა სპათა აღმოსავლეთით ძალი და სიმხნე ჩვენი“... ეს დაახლოვებით 1209 წ. უნდა მომხდარიყოს: მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ „ხვარაზმშაი მეფეა, მორჭმით მჯდომელი“, და ეს მხოლოდ 1210 წ. გაიგეს... „მოიწია არე სთვლისა“ სალაშქროდ გამზადებული ჯარი დალოცა თამარმა და გაისტუმრა სპარსე-თისაკენ. ყაზმინამდი საქართველოს ძლევა მოსილ ჯარს ბედი სწყალობდა, მაგრმ როგორც კი „მი-იწივნეს გურგანისად [3]) ქალაქად“ ქაოთველებმა უკან დაბრუნება ირჩიეს, რადგანაც „ვერღა ძალედვა წიაღ-სვლად ალაფისაგან“; და შემოიქცეს გამარ-ჯვებულნი და ძლევამოსილნი“ [4]) ჩვენთვის კი ხვა-რამზეთის წარსულის გათვალისწინების შემდეგ ცხა-დია, რომ ქართველებმა ამ გალაშქრების დროს

ერ ყსი იგივე ირაკ-აჯემი.
საოცარია ამისთანა უვიცობა მეთორმეტე საუკუნის-თვისაც.

ალბად, როგორც დღეს, ისე მაშინაც სიმართლეს მხო-ლოდ ის ამბობდა, ვინც მოვლენის გარეთ იდგა – კიდევ ერთი საბუთი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ საქართვე-ლოს ისტორია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ძველ აღმო-
[illegible] ყაზვინს შუა.

ადვილად დაიპყრეს დასავლეთი ადერბეიჯანი, ეს სელჩუკის თურქთა ბუდე, მაგრამ როგორც კი გადავიდნენ ხვარაზმელების სამფლობელოში, დამარცხდნენ [1]) და მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, რომ „ხვარაზმშა მეფეა, მორჭმით მჯდომელი“. მე მგონია ამ დამარცხების სისასტიკე იზდენად მწვავე იყო, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ შემთხზველზედაც იქონია გავლენა; ადვილად წარმოსადგენია ისიც, რომ თვითონ რუსთველიც იღებდა მონაწილეობას ამ ლაშქრობაში და პირადი განცდანი დაედო საფუძვლად დიდებულ ქართველის სიძულვილს ხვარაზმისადმი. ამ მოსაზრებას თუ მივიღებთ, ჩვენ შეგვიძლია განმეორებით, სულ სხვა გზით ნააზრევთა საშუალებით, ვსთქვათ, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ დაწერილია 1210 წელს შემდეგ, ე. ი. მეორე გალაშქრების შემდეგ, ქვრივ თამარ მეფის სადიდებლად და ხვარაზმელთა განსაქიქებლად... [2]) ასე რომ, ჩვენის აზრით, დიდებულმა

ჩრდილოეთ სპარსეთში ხმა გავრცელდა, ქართველებს ერთის მხრით მიადგა „თვით დიდი სულტანი“, მეორეს მხრით გილანელნი და „ყოველგნით გზა შეუკრეს ქართველთა და მთლად ამოხოცესო“ – გადაჭარბებულია, მაგრამ ჩვენი მოსაზრება კი უცილობლად მტკიცდება ამ ამონაწერით. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. გვ. 627. შესაძლებელია, რომ ამ მხრივ თვით ჯელალ-ედინიც იცნობდა „ვეფხვის ტყაოსანს“; მის ხვარაზმიდებისადმი გამაბიაბრუვებელ შინაარსს მით უფრო, რომ ოთხი ხუთი წლის განმავლობაში მონგოლებთან ბოძოლას აწარმოებდა და სრული ხელისუფალი იყო სამხრეთ სპარსეთსა და საქართველოს მოსამზღვრედ ადერბეიჯანში – ცეცხლთა ქვეყანაში. ტფილისის აღების შემდგომ ხომ ეს შესაძლებლობა უფრო იზრდება – მაშინ ჩვენდამი მისი საარაკო სიმხეცე ოდნავ მაინც გასაგები იქნება...

რუსთველმა სულ ცოტა ხნის განმავლობაში დამოუკიდებ-
ლად შეჰქმნა თავისი უკვდავი „ვეფხვის ტყაოსანი“ სათა-
ყვანებელ ქალის ხანგრძლივი მოღვაწეობის სადი-
დებლად და მასთან ერთად ჩვენც, ჩამომავლობას,
მოგვცა წარუშლელი იმედი და რწმენა „ლამაზი“
მომავლისა... ქართველ ხალხს ჯერ კიდევ ბევრი რამ
აქვს სათქმელი და გასაკეთებელი დედამიწის ზურგ-
ზე იმ ერთეულის ფარგალში მაინც, რომელსაც
დღეს ვიცნობთ ძველ აღმოსავლეთად. ჯერ-ჯერო-
ბით მხოლოდ ჩვენ, ქართველებმა, ვიცით, რომ ამ
„ძველი აღმოსავლეთის“ დასავლეთ ცის კამარაზე
მეთორმეტე საუკუნიდან მარტოდ აღარ ციალ-კია-
ფობს დიდებული ჰომეროსის [1]) ვარსკვლავი: მას
აღმოსავლეთით შეღაჟღაჟებს დიდი რუსთველის
მნათობიც.

ილიკო მობურთალი.

ქ. ბაქო, 1916 წ.

ჰომეროსის „ილიადა“ უსათუოდ უნდა ითარგმნოს
ქართულად – კარგად ნათარგმნი ის ისტორიულად მომზადე-
ბულ ქართველთათვის მეორე სათაყვანებელ წიგნად გარდაიქ-
ცევა, რადგან ზნე ჩვეულებანი იქ „ძველი აღმოსავლეთისა“ –
უფრო მეტია, ვიდრე საბერძნეთისა: დღეს ვიცით, რომ
ბერძნები შიშველ-მართალნი ისტორიულ ხანაში დაეშვენ
ჩრდილოეთით და ბევრი რამ შეითვისეს ბინადართაგან. ჰო-
მეროსიც, ჩვენის აზრით მცირე აზიაშია დაბადებული და
აღზრდილი... სხვათა შორის ჩვენთვის „მარგალებისთვის“
საგულისხმოა, რომ გააფთრებული პრიამი, ტროიანთა მო-
ხუცი მეფე, თავის შვილებს უსაყვედურებს და დასამცირებ-
ლად „თხა-პარიებს“ უწოდებს.

ძირითადი წყაროები და მასალები

ქართველი ერის ისტორია პროფ. ი. ჯავახიშვილისა.
ქართული სიტყვიერების ისტორია ა. ხახანაშვილისა.
Материки и моря въ смѣнѣ временъ В. Бельше.
Кавказскій культурный міръ и Армеія. Н Я. Марръ
საქართველოს ისტორია მ. გ. ჯანაშვილისა.
Опредѣленіе языка второй категоріи Ахеменидскихъ клинообразныхъ надписей. Н. Я. Маррѣ.
გვირგვინი 1912 წ.
საქართველოს ისტორია ს. რ. გორგაძისა.
Доисторическая Греція – Эгейокая культура – Проф. Лихтенберга
Хеттеи. проф. Сайса
„ვეფხვის ტყაოსანი“ შოთა რუსთაველისა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით 1903 წ. და სხვა.

— —

Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа – всѣ выпуски до 1916 года.
Древвій Востокъ и Эгейская культура, проф. Вип. перъ.
Образованіе земли... проф. Грегори.
Марко Поло. Путешествіе.
Исторія Восточныхъ Монголовъ Д. Покотилова.
Арменія... Х. Ф.. В Линнъ.
Исторія Монголовъ. Карпини.
Древности Восточныя I, II и III т подъ редакціею Никольскаго.

20. Матеріалы по археологіи Кавказа 12 выпусковъ подъ релакціею Уваровой
21. Очерки Средней Азіи проф. Вамбери.
22. Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ двѣ части К. Гана.
23. Культура Древняго Востока І. Гунгера и Д Ла мера
24. Каменный вѣкъ, проф. Гернесъ.
25. Іисусъ Назарянинъ проф. Ревиль.
26. Вавилонская культура проф. Винклеръ
27. Законы Вавилонскаго царяХаммураби.
28. Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи. Н. Я. Марръ
29. Полное собраніе сочиненій Ксенофонта
30. Исторія Бухары проф. Вамбери.
31. Краткій очеркъ исторіи Кавказскаго перешейка. А. Н. Гренъ.
32. Сирія и палестина. К. Базили
33. Древняя Европа и Востокъ. Проф. Виппера.
34. О курцахъ Э Лерха
35. Геродотъ Исторія въ девяти книгахъ. О. Г. Мищенко.
36. Древняя исторія, народовъ востока. «Масперо
37. Исторія Древняго Востока проф. Тураева.
38. Арріанъ Походъ Александра
39. Очеркъ исторіи Арменіи Г. Халатьяна.
40. Клинописные тексты памятныковъ южной Мессопотаміи. Шилейко
41. К. Коссовичъ. Клинописи.
42. Энциклопедическій словарь Брокгауза-Ефрона. და სხვა.